ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №462346

ნომერი: AR196371

თარიღი : 04.12.2012

გაცემის თარიღი : 07.12.2012

გაცნობის თარიღი : 07.12.2012

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ბაღდადის , N 9 , (ნაკვეთი N56/43) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მერაბ ცინცაძე პ/ნ 01008000131
- თბილისი ირ.აბაშიძის ქ. N 24ა ბ. 20

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი
  რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ შემდეგს:

სამსახურის უფლებამოსილებაში შედის ფუნქციური ელემენტების განვითარების პროცესის მოდელირება, ურბანული ქსოვილის ცალკეული მახასიათებლების ანალიზი, საპროექტო ვარიანტების და მიღებული გადაწყვეტილებების შეფასება. სამსახურს თავის ფუნქციების შეუფერხებელი განხორციელების მიზნით უფლება აქვს განიხილოს შენობა–ნაგებობის ექსტერიერებისა და ინტერიერების პროექტები, მოახდინოს ფერთა შეთანხმება და გამომდინარე აქედან, ვინაიდან აღნიშნული ობიექტი განთავსებულია ქალაქის გეგმარებით კარკასზე, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა შენობა–ნაგებობებს და მათზე განთავსებულ კონკრეტული დეტალების ვიზუალურ მხარეს, მოგახსენებთ შემდეგს: არქიტექტურის სამსახურს წარმოდგენილი სახით ობიექტის განვითარება მიზანშეწონილად არ მიაჩნია. იგი საკმაოდ გადატვირთული სახის მატარებელი და ჭრელია, უმჯობესია შენობის ფასადზე ლითონის კონსტრუქციაზე გადაკრული ბანერის ნაცვლად მოხდეს ფასადის განახლება და არსებული შენობის ფერში შეღებვა, ღიობების თავზე მოსაწყობი სარეკლამო აბრის გაბარიტებში შემცირება, ასევე არსებული კარის ღიობის გაბარიტების შენარჩუნება.

გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, საჭიროა სამსახურის რეკომენდაციების გათვალისწინებით მოხდეს ფასადის ხელახალი გადამუშავება და შესაბამისად ახალი ვარიანტის ფოტომონტაჟის შემუშვება, რომელზეც უფრო გარკვევით იქნება ასახული ღიობების ვიზუალი და რომელზეც უფრო დეტალურად იქნება მითითებული გაბარიტული ზომები და მოსაპირკეთებელი (მათ შორის კარ–ფანჯრის) მასალები.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge